

ქ. თბილისი

” _____ ” 2017

ერთის მხრივ შპს ”სპარ” (შემდგომში ”**ბროკერი**”) მისი დირექტორის სპარტაკ თიკანაშვილის სახით და მეორეს მხრივ _____ (შემდგომში ”**დამკვეთი**”), 3/5

(ს/კ) _____, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

თავი 1. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულებით ბროკერი კისრულობს ვალდებულებას გაუწიოს ”დამკვეთს” საშუამავლო მომსახურება უძრავი ქონების (შემდგომში ”**ფართი**”) იჯარით გაცემაში (შემდგომში ”**საბროკერო მომსახურება**”).

ფართის რეკვიზიტები:

მისამართი: _____,

საკადასტრო ნომერი: _____

მესაკუთრე: _____ მესაკუთრის 3/5 (ს/კ): _____

იმ შემთხვევაში თუ ”დამკვეთი” არაა ”ფართი”-ს მესაკუთრე ის ადასტურებს, რომ მოქმედებს მესაკუთრის (მესაკუთრეების) სახელით, მათი ნებითა და სურვილით და პირადად გადაიხდის ”ბროკერი”-ის გასამრჯელოს საბროკერო მომსახურების განხორციელების შემთხვევაში.

- წინამდებარე ხელშეკრულებით ბროკერი კისრულობს ვალდებულებას გაუწიოს დამკვეთს საბროკერო მომსახურება, ხოლო დამკვეთი კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს ბროკერს საზღაური (გასამრჯელო) საბროკერო მომსახურების შედეგად გაწეული მომსახურებისათვის, რაც შეადგენს კონკრეტულ თანხას _____ (.....) ლარი ან ერთი თვის ქირას. გადახდა უნდა მოხდეს 2 (ორი) დღის განმავლობაში დამკვეთისთვის ქირის გადახდის და/ან დამქირავებლის ფაქტიური შესახლებიდან ”ფართში”. პირობების დარღვევის შემთხვევაში დამკვეთს ჯარიმის სახით დაეკისრება ”ბროკერს” გადაუხადოს გადასახადი თანხის ორმაგი ოდენობა, პლიუს აუნაზღაუროს ყველა ის ხარჯი, რაც მას გადახდება ამ ჯარიმის ამოსაღებად;
- ”ფართი”-ს ერთი თვის ქირა შეადგენს: _____ () ლარის. აღნიშნული ღირებულება შემდგომში შესაძლებელია შეიცვალოს ”დამკვეთი”-ს მიერ საკუთარი შეხედულებით ან პოტენციურ მყიდველთან (შემდგომში ”კლიენტი”) მოლაპარაკების საფუძველზე;
- ხელშეკრულება ითვლება შესრულებულად თუ ”ფართს” იქირავებს ”ბროკერის” მიერ მოძებნილი კლიენტი, ან მასთან დაკავშირებული პირი, რომელმაც ”კლიენტისგან” მიიღო ინფორმაცია გასაქირავებელ ფართზე

თავი 2. ”ბროკერი”-ის უფლებები და მოვალეობები:

- 2.1. განახორციელოს ”ფართი”-ს დათვალიერება;
- 2.2. ”დამკვეთი”-ს გაუწიოს კონსულტაცია ყველა კითხვაზე, რომელიც დაკავშირებულია აღნიშნულ ხელშეკრულებასთან. გაუწიოს კონსულტაცია გარიგების სამართლებრივ და ორგანიზაციულ საკითხებში;
- 2.5. ”დამკვეთი”-თან წინასწარ შეათანხმოს კლიენტების მიერ ”ფართი”-ს დათვალიერება.

თავი 3. ”დამკვეთი”-ის უფლებები და მოვალეობები:

- 3.1 ”დამკვეთი” ვალდებულია ”ბროკერს” მიაწოდოს სრული და ჭეშმარიტი ინფორმაცია ”ფართი”-ს იურიდიული და ტექნიკური მდგომარეობის შესახებ. უზრუნველყოს არსებული მონაცემების სისწორის გარანტია;
- 3.5. მესაკუთრის მხრიდან ”ფართი”-ზე რაიმე იურიდიული მოქმედების ან ტექნიკური ცვლილებების განხორციელების და/ან დაგეგმვის შემთხვევაში წინასწარ შეატყობინოს ”ბროკერს” ამის შესახებ;
- 3.6. „დამკვეთი” იღებს ვალდებულებას ხელშეკრულების მოქმედების პერიოდის განმავლობაში დაუყოვნებლივ შეატყობინოს „ბროკერს” ყველა იმ შემთხვევის შესახებ, როდესაც მას „ბროკერის” გვერდის ავლით მიმართა ბროკერის მხრიდან მიყვანილმა კლიენტმა ან კლიენტის მხრიდან სხვა პირმა ”ფართი”-ზე გარიგების განსახორციელებლად. ”დამკვეთის” მხრიდან ამ ინფორმაციის შეუტყობინებლობა ჩაითვლება საბროკერო მომსახურების გადახდისაგან თავის არიდების მცდელობად, თუ მან იცოდა ან შეეძლო ევარაუდა ეს ფაქტი;
- 3.7. თუ საბროკერო მომსახურება განხორციელდა წარმატებით ”დამკვეთმა” სრულად უნდა შეასრულოს 1.2. მუხლში მითითებულ პირობა. პირობების დარღვევის შემთხვევაში დამკვეთს ჯარიმის სახით დაეკისრება ”ბროკერს”

გადაუხადოს გადასახადი თანხის ორმაგი ოდენობა, ასევე ყველა ის ხარჯი, რომელიც დაიხარჯება აღნიშნული ჯარიმის ამოსაღებად.;

თავი 4. მხარეთა პასუხისმგებლობა

- 4.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებაზე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.
- 4.2. მხარეები თანახმანი არიან დავის შემთხვევაში საქმე განიხილოს კერძო არბიტრაჟმა;

თავი 5. ფორს-მაჯორი

- 5.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, თუ ეს განპირობებული იქნება დაუძლეველი ძალის ან სხვა სახის ფორს-მაჯორული გარემოებებით. ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჯორული გარემოებების ლიკვიდაციამდე.

თავი 6. დამატებითი პირობები

- 6.1. მიმდინარე ხელშეკრულება ძალაში შედის ორივე მხარის მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მის სრულ შესრულებამდე ან შეწყვეტამდე;
- 6.2. ორივე მხარეს უფლება აქვს გაწყვიტოს ხელშეკრულება, რისთვისაც წერილობით უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს ამის შესახებ. ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ აღნიშნული ხელშეკრულება მაინც ვრცელდება იმ შემთხვევებზე, თუ "დამკვეთმა" გარიგება განახორციელა ბროკერის მიერ მიყვანილ კლიენტთან, ან კლიენტთან დაკავშირებულ სხვა პირთან
- 6.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2(ორი) თანაბარი იურიდიული ძალის ეგზემპლარად. თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს.

შპს "სპარ" (ბროკერი)
ქ.თბილისი. ვაჟა-ფშაველას16, VIII სართ.
საბანკო რეკვიზიტები:
შპს "სპარ"
ს/კ: 205290424
სს "საქართველოს ბანკი"
ა/ა: GE53BG000000855525500
ბანკის კოდი: BAGAGE22

ტელეფონი: 593188661

_____ ს. თიკანაშვილი
"___" _____ 2017წ.
<http://www.spar.ge>

.....
(დამკვეთი)
.....
მისამართი:
.....
პ/ნ(ს/კ):
ტელეფონი:.....
_____ ხელმოწერა
~___~ _____ 2017წ.